

ვამტკიცებ:

სს „არ ემ ჯი კოპერი“-ს  
გენერალური დირექტორი

\_\_\_\_\_ ჯონდო შუბითიძე

\_\_\_\_\_ 2026 წ.

## ტექნიკური დავალება საწყობების რემონტთან დაკავშირებით

დამკვეთი: სს „არ ემ ჯი კოპერი“

ზოგადი აღწერა: სს „არ ემ ჯი კოპერი“ ბოლნისის მუნიციპალიტეტში, დაბა კაზრეთში ფლობს 2 საწყობს, რომლებსაც ესაჭიროება კაპიტალური რემონტი.

სამუშაოების აღწერა: სამუშაოები იწარმოებს 2 მიმართულებით, კერძოდ:

### დემონტაჟი

უნდა განხორციელდეს ძველი ამორტიზებული სახურავების მოშლა, ასევე ძველი ნალესის მოშორება კედლებიდან. ორივე სახურავი წარმოადგენს ხის კონსტრუქციაზე მოწყობილ შიფერის საფარს. კედლები აგებულია ბუნებრივი ქვით და კირით რომლებიც შელესილია დაახლოებით 20 მმ სისქეზე.

### სამუშაოების მოცულობა:

- ჯამში დემონტაჟს ექვემდებარება დაახლოებით 700 კვ/მ ფართობის სახურავი (100 პატარა შენობა და 600 დიდი) და 550 კვ/მ ფართობის შიდა გადახურვა ასევე ხის მასალით მოწყობილი;
- ძველი ნალესი უნდა მოშორდეს დაახლოებით 500 კვ/მ ფართობზე (400 დიდი შენობა 100 პატარა);
- უნდა განხორციელდეს 18 ცალი ხის ძელების დემონტაჟი რომლებზეც წარმოადგენენ დიდი შენობის სახურავისს აყრდენ სვეტებს;
- უნდა მოიხსნას 25 ცალი ფანჯარა.
- შენობის ირგვლივ ცოკოლის გამოსაჩენად უნდა მოხდეს გრუნტის მოჭრა დაახლოებით 150 კუბური მეტრი მოცულობით.

დემონტაჟისას უნდა მოხდეს მასალების დახარისხება და დასაწყობება იქვე ტრიტორიაზე;

დემონტაჟისთვის საჭირო ტექნიკით (ამწე, ექსკავატორი, კალათი, თვითმცლელები) შემსრულებელს უზრუნველყოფს დამკვეთი.

ნარჩენების ტრიტორიიდან გატანას უზრუნველყოფს დამკვეთი.

დემონტაჟისას მკაცრად უნდა იქნეს დაცული უსაფრთხოების მოთხოვნები.

## რემონტი

უნდა განხორციელდეს ორი შენობის რემონტი, რომელიც მოიცავს ახალი სახურავის მოწყობას, კედლების შელესვას და ჰიდოიზოლაციით დამუშავებას, იატაკების მოჭიმვას და მოპრიალებას, ღიობების ჩანაცვლებას (ფანჯრები და კარბები) და შენობების გარშემო ბეტონის ქანობის და შესასვლელთან ბეტონის ფილის მოწყობას.

### სამუშაოების მოცულობა:

- უნდა გაილესოს 850 კვ/მ ფართობის კედლები (2 შენობა შიგნიდან და გარედან),
- გალესილი შენობები გარედან დაახლოებით 450 კვ/მ უნდა დამუშავდეს ჰიდროსაიზოლაციო მასალით;
- შიგნიდან ნალესი დაახლოებით 400 კვ/მ უნდა შეიღებოს ნესტმედეგი საღებავით;
- უნდა მოეწყოს ახალი ღიობები (ხის მასალის ფანჯრები ნესტმედეგი საღებავით) გარედან ლითონის ცხაურით (10 მმ სისიქის უჯრები 150<sup>1</sup>150 მმ);
- უნდა დამონტაჟდეს 3 ცალი 2 ფრთიანი ხის კარი 2 მ სიმაღლის.
- დიდ შენობაში უნდა მოეწყოს 300 მმ დიამეტრის ახალი ძელების საყრდენები სახურავისთვის 2 რიგად 3 მ დაშორებით;
- შიდა გადახურვა შენობებში უნდა მოეწყოს დაახლოებით 550 კვ/მ, მინიმუმ 15 მმ სისიქის შეფიცვრით ან ლამინირებული დიქტით;
- ორივე შენობაზე უნდა მოეწყოს ახალი სახურავი საერთო ფართობით 700 კვ.მ-მდე (600 დიდი და 100 პატარა). სახურავი უნდა მოეწყოს ხის კარკასით ჰიდრო და თბო იზოლაციით, 2 ფენიანი ფანერით შუაში ქვაბამბით ან მსგავსი მასალით.
- სახურავის გარე ფენა არ უნდა იყოს ლითონის შემცველი, პრიორიტეტი ენიჭება ბიტუმიზე დაფუძნებულ რბილი კრამიტის მსგავს მასალას.
- შენობებში ყველა წვადი ელემენტი უნდა დამუშავდეს ცეცხლმედეგი საღებავით მინიმუმ 60 წუთზე გათვლით.
- შენობების სახურავებში უნდა მოეწყოს ბუნებრივი განიაგების ღიობები სქემატურ ნახაზებზე ნაჩვენები რაოდენობით.
- შენობებში უნდა მოეწყოს იატაკის მოჭიმვა დაახლოებით 550 კვ/მ-ზე შესაბამისი მოპრიალებით.
- შენობების წინ უნდა მოეწყოს ბეტონის ფილა 200 მმ სიმაღლის ჯამში 250 კვ/მ-ზე (200 კვ/მ დიდი შენობის წინ და 50 კვ/მ პატრა შენობასთან).

### მოთხოვნები შემსრულებლის მიმართ:

- ჰქონდეს აღნიშნულ სფეროში მუშაობის გამოცდილება, წარმოადგინოს შესრულებული სამუშაოების ჩამონათვალი;

- წარმოადგინოს დეტალური განფასება სამუშაოებთან და მასალებთან დაკავშირებით;
- ცალკე-ცალკე მიუთითოს დემონტაჟის და რემონტის ფასები და შესრულების ვადა.
- საგარანტიო პერიოდი უნდა შეადგენდეს მინიმუმ 5 წელს.

დანართი:

- შენობების ვიზუალიზაცია;
- შენობების სქემატური ნახაზები,

შეიმუშავა:


სს „არ ემ ჯი კოპერი“-ს  
მშენებლობის ზედამხედველობის სპეციალისტი  ბექა დოინჯაშვილი

შეთანხმებულია:

სს „არ ემ ჯი კოპერი“-ს  
წარმოების დირექტორი \_\_\_\_\_ სერგეი ბერეზიკოვი

სს „არ ემ ჯი კოპერი“-ს  
შესყიდვების დირექტორი \_\_\_\_\_ ვადიმ ნემცევი

სს „არ ემ ჯი კოპერი“-ს  
პროექტების მართვის დირექტორი  ალექსეი ნემოკაევი

სს „არ ემ ჯი კოპერი“-ს  
წარმოების დირექტორის მოადგილე  არჩილ ჯაყელი